შეთავაზებული მომსახურება

მონაწილე სკოლებს ვთავაზობთ მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სამ პაკეტს. სკოლას შეუძლია აირჩიოს თითოეული საგნისთვის რომელიმე ერთი პაკეტი კონკრეტული კლასის მოსწავლეების შესაფასებლად (მაგ., I პაკეტი მე-8 კლასელებისათვის უცხოურ ენაში, II პაკეტი მე-9 კლასელებისათვის უცხოურ ენაში, III პაკეტი მე-10 კლასელებისათვის ქიმიაში და ა. შ.):

I პაკეტი:

შეფასება მყისიერი უკუკავშირით - ასეთი შეფასებისათვის განკუთვნილი ტესტები შედგება მხოლოდ მოსანიშნი ანუ ე. წ. არჩევითბოლოიანი დავალებებისაგან (Multiple Choice) და ტარდება კომპიუტერულად. მოსწავლე საკუთარ შედეგს ტესტირების დასრულებისთანავე იღებს, ხოლო სკოლა - ამომწურავ ინფორმაციას ტესტირებისათვის განკუთვნილი პერიოდის დასასრულს.

II პაკეტი:

შეფასება კომპლექსური უკუკავშირით - შეფასებისათვის ვიყენებთ როგორც არჩევითბოლოიან, ასევე ღიაბოლოიან დავალებებს. ტესტირება ჩატარდება ნაწილობრივ კომპიუტერულად და მოსწავლეები არჩევითბოლოიანი დავალებების შეფასებას მყისიერად, ტესტირების დასრულებისთანავე მიიღებენ. ღია დაბოლოების მქონე დავალებებიც მოსწავლეებს ეკრანზე მიეწოდებათ, პასუხებს კი ისინი პასუხების ფურცელზე დაწერენ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლებს წინასწარ მიაწვდის ღიაბოლოიანი დავალებების შეფასების დეტალურ სქემას. შეფასების ამ სქემის შესაბამისად სკოლის პედაგოგები თავად გაასწორებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და შედეგებს ამ პროცედურისათვის შექმნილ კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანენ. სკოლა ამომწურავ ინფორმაციას საკუთარი შედეგების შესახებ ტესტირებისათვის განკუთვნილი პერიოდის დასრულებისთანავე მიიღებს.

III პაკეტი*:

გარე შეფასება - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლაში მეთვალყურეს წარგზავნის, რომელიც ტესტირების პროცესის ადმინისტრირებასა და მონიტორინგზე იქნება პასუხისმგებელი. არჩევითბოლოიანი დავალებების შედეგებს მოსწავლე მყისიერად მიიღებს, რაც შეეხება ღიაბოლოიან დავალებებს, მეთვალყურე მოსწავლეებს შესაბამის პასუხების ფურცლებს დაურიგებს, ხოლო შევსების შემდეგ მათ ცენტრს მიაწვდის. ცენტრის ექსპერტები შეაფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და განათავსებენ შედეგებს შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში. დეტალურ ინფორმაციას შედეგების შესახებ სკოლა პროცესის დასრულებისთანავე მიიღებს.

*მესამე პაკეტის არჩევის შემთხვევაში მსურველი სკოლა პროექტის მენეჯერს უნდა დაუკავშირდეს (იხ. საკონტაქტო ინფორმაცია), იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პაკეტი, სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა მოერგოს სკოლის სურვილებსა და საჭიროებებს ტექნკური და ლოჯისტიკური თვალსაზრისითაც. ამის გათვალისწინებით რეგისტრაციისას პირველი და მეორე პაკეტის არჩევა ხდება, მესამე პაკეტზე კი სრულ კონსულტაციას ჩვენი წარმომადგენლისგან მიიღებთ.

ტესტირებისას ღიაბოლოიანი დავალებების გამოყენება საშუალებას გვაძლევს *უფრო ეფექტიანად* შევაფასოთ მოსწავლის მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, ასევე შევაფასოთ წერითი მეტყველების უნარი.